

ქალბატონო ნაზიბროლა,

ბოდიშს გიხდით დაგვიანებული პასუხისათვის თქვენს წერილზე N 27326/25.

გთხოვთ იხილოთ დანართი.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ასევე ხორციელდება სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის პროექტი - 14 მლნ. ევროს ოდენობით, საიდანაც 7 მლნ. ევრო არის გრანტი და 7 მლნ შეღავათიანი სესხი KfW ბანკის დაფინანსებიდან. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ორი სანიაღვრე კოლექტორის: ჭავახიშვილისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩის სანიაღვრე კოლექტორების სრული რეაბილიტაცია და სანიაღვრე სატუმბი კომპლექსის მოწყობა არდაგანის ტბის მიმდებარედ (სატუმბი სადგური, შემაკავებელი ავზი, პირველადი ნაკადის შემაკავებელი ავზი და ორი გამცხრილავი). დღეის მდგომარეობით დასრულებულია საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და მიმდინარეობს საერთაშორისო სატენდერო პროცედურები. პროექტის განხორციელება დაიწყება 2018 წლის პირველ კვარტალში და დასრულდება 2019 წლის ბოლოს.

ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მეოთხე ფაზის ფარგლებში განხორციელდება წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია ზონა 4-ში (ჭავახიშვილის ქუჩიდან მდინარე მეჭინისწყლამდე), სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 10,8 მლნ. ევრო და წყლის სისტემების რეაბილიტაცია გონიო-კვარიათის ტერიტორიაზე, სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით - 4,6 მლნ. ევრო. დღეის მდგომარეობით გადაგზავნილია სატენდერო დოკუმენტაცია KfW ბანკის შესყიდვების დეპარტამენტში შესათანხმებლად. პროექტის განხორციელება სავარაუდოდ დაიწყება 2018 წლის მეორე ნახევარში.

ქალაქ ბათუმში დღეის მდგომარეობით 24 საათიანი წყალმომარაგების ქსელში ჩართულია 74197 აბონენტი საიდანაც გამრიხველიანებულია 67501 აბონენტი და 2018 წლის ბოლომდე გამრიცხველიანდება დარჩენილი 6696 აბონენტი. ცუდი ამინდის პირობებში როდესაც წყლის სიმლრივის ნიშნული აღემატება დასაშვებს წყალმომარაგება ეთიშება ცენტრალურ მაგისტრალზე დაერთებულ მოსახლეობას. ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ ეტაპობრივად ხდება მათი ცენტრალური მაგისტრალიდან ჩაჭრა და ახალ სამომხმარებლო ქსელზე მიერთება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის უწყვეტ წყალმომარაგებას. დღეისათვის აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს ჩაქვის, ანგისისა, ბონის დასახლებაში.